ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თაბუკაშვილის ქ. N27, თანამედროვე არქიტექტურული ობიექტის სხვენის სართულის განვითარების პროექტისათვის




თბილისი

2026, იანვარი


განსახილველი ობიექტი თაბუკაშვილის №27, თანამედროვე ხუთსართულიანი კორპუსი ისტორიული თბილისის ცენტრალური ნაწილის, ყოფილი ე.წ. "გარეთუბნის" ფარგლებში მდებარეობს. არსებითად, ეს ადგილი რუსთაველის (გოლოვინსკის) მიმდებარეა, და გამზირზე გამავალი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ანსამბლის "ზურგს" – წარმოადგენს. შენობა უკანასკნელ პერიოდში ჩაენაცვლა არსებულ ადგილზე მდებარე ძველ ნაგებობებს. პროექტის ავტორია არქ. ნ. ჩხაიძე.




. გამზირის ძველი, ტიპიური თბილისური ორსართულიანი განაშენიანება 50-60 წლების შემდგომ, იცვლება უფრო დიდი, 3-4 სართულიანი ევროპული შემოსავლიანი სახლებით, რომლებსაც აშენებენ ზუბალაშვილები, სარაჯიშვილები, მელიქ-აზარიანცი და სხვ. აქვე, ქალაქის ფეშენებელურ კვარტალში, შენდება უმთავრესი ევროპულად გამართული სასტუმროები "ორიენტი", "ჩრდილოეთის ნომრები", "მაჟესტიკი", „ლონდონი" და სხვ.



თაბუკაშვილის, ყოფილი მესანგრეთა, ყოფილი ძნელაძის ქუჩა, რუსთაველის გამზირის პარალელურად ვითარდება. ამ ქუჩის ზედა კუთხეში ქაშვეთის ეკლესიის არქიტექტურული კომპლექსია აღმართული. მთლიანობაში მიკროუბანში თითქმის ყველა სახლს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული. უმეტესობა XIX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება.




გარეთუბნის ისტორია თბილისის შემოგარენის შემოერთების შემდგომ იწყება, ვინაიდან შუასაუკუნეებრივ ქალაქთან ამ მიწის ნაკვეთებს ბმა არ ჰქონიათ. თბილისის ძველ ისტორიულ რუკებზე, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე, ქალაქის საზღვრები ამ ტერიტორიამდე ვერ აღწევს.



ამ მიწების ათვისება მხოლოდ 1800-იან წლებში საქართველოს რუსეთის იმპერიაში გაერთიანების შემდგომ დაიწყო. 1802 წლის მონაცემებით, ტერიტორია მეჩხერად იყო განაშენიანებული ყოველგვარი რეგულარული გეგმარების გარეშე. სწორედ ამ ადგილზე უერთდებოდა გოლოვინის პროსპექტი ე.წ. მოსკოვის ფორპოსტს - ახლანდელი ძმები კაკაბაძეებისა და მიხ. ჯავახიშვილის ქუჩებს.




ვინაიდან, ქალაქის რელიეფი ამ ადგილზე მკვეთრად იცვლის ხასიათს და საკმაოდ ვრცელი ვაკე ტერიტორიის შემდგომ დამრეც ბორცვს უერთდება, განაშენიანებაც ამ მონაკვეთში საკმაოდ რთულ ამოცანასთან იყო დაკავშირებული, რაც მკაცრად რეგლამენტირებულ მიწის ნაკვეთებსა და ქუჩების მოხაზულობას გამორიცხავდა. უკვე 1902 წლის რუკაზე იკვეთება, რომ ტერიტორიაზე გამავალი ბუნებრივი ხევი გზად იქნა გადაკეთებული და დაღმართის სახით განვითარდა მტკვრის სანაპიროსკენ. ამას ემატება, რომ 1884 წელს მდინარეზე გაიდო ე.წ. ვერის ხიდი და თბილისის ორი სანაპირო ერთმანეთთან კიდევ მეტად დაკავშირდა.





ისტორიული რუკების მიხედვით, XIX საუკუნის განმავლობაში გარეთუბნის ეს ნაწილი სამხედრო დანიშნულების დაწესებულებებს ეკავა, რაზედაც მიუთითებს ზოგიერთი ტოპონიმი: ,,არტილერიისკაია ბალკას'', ასევე სალდათის, გამნაღმველის, საზარბაზნეს სახელწოდების ქუჩები. აქვე ახლოს (რუსთაველის მოედნის ადგილზე) იყო ე.წ. ,,მოსკოვსკაია ზასტავა'' (ფორპოსტი), ხოლო დღევანდელი თაბუკაშვილის, ყოფ მესანგრეთა ქუჩაზე სამხედრო სამმართველოს მთავარი შტაბის და იუნკერთა სასწავლებლის შენობები.



ჩვენთვის საინტერესო მიკროკვარტალი, სწორედ გარეთუბნის მთავარი ღერძის აღმოსავლეთით მდებარეობს, რომლის ისტორიული ფუნქციური დატვირთვაც გარკვეულწილად განპირობებული იყო გოლოვინის გამზირსა და ლუნაჩარსკის ქუჩათა კვეთაზე განთავსებული საკმაოდ მასშტაბური კადეთტა კორპუსის არსებობით. ფაქტიურად მიმდებარე მიკროკვარტალი სამხედრო დანიშნულების ობიექტთა სიმრავლით გამოირჩევა. ძველ საარქივო გეგმებზე დაკვირვებისას, აღნიშნული მონაკვეთი 1833-35 წლის რუკებზე უკვე ჩნდება. ვერტილაკურად გაჭრილია ქუჩა, თითქმის მტკვრამდე ჩადის. თავდაპირველად ქუჩის მნიშვნელოვანი ფუნქცია, სწორედ მისი მტკვართან სიახლოვე იყო. ფაქტიურად თულუხჩებს სწორედ ამ ქუჩის გავლით ამოჰქონდათ წყალი გარეთუბანში. 1896 წელს, სახალხო თეატრის შენობის დასრულების შემდეგ, ქუჩას თეატრალურის ქუჩა დაარქვეს, მოგვიანებით გიორგი ევანგულოვის სახლს ატარებდა, 1924 წლიდან ლუნაჩარსკის სახლით მოიხსენიებდნენ.

საინტერესოა 1867 წლის გეგმა, რომელიც არამხოლოდ მიკროკვარტლის ურბანული სტრუქტურის შესახებ ავთენტური ინფორმაციას გვაწვდის, არამედ განაშენიანების შესახებაც საინტრესო ისტორიას გვიყვება. რუკაზე ძირითადი მნიშვნელოვანი ობიექტებია დატანილი, რომელთა შორისაც უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ნაგებობაც იკითხება.






ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, საკმაოდ დიდი ზომის მიკროკვარტალი ყოფილ მესამგრეთა ბატალიონის ყაზარმებს ეკუთვნის. ნაგებობები მომდევნო პერიოდის საარქივო რუკებზეც აღნიშნულია როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები. ის, რომ მიკროკვარტალი მართლაც მკევთრად გამოხატულ სამხედრო ფუქნციისა იყო, ამას მიმდებარედ არსებული ქუჩების სახელწოდებებიც ადასტურებს: კადეტთა, ვაზნის, მაშხალის ქუჩა. სამწუხაროდ მათი ნაწილი, XX ს-ის II ნახევარში მოედნის რეკონსტრუქციას შეეწირა.



თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უბნის ურბანული სტრუქტურა, არამხოლოდ აღნიშნული ნაგებობით, არამედ მასთან ფუქნციურად დაკავშირებული, ნაგებობათა ჯგუფით იქმნება, რომელიც მასთან კავშირში, საკმად დიდი ზომის ეზოს საზღვრავს და ერთიან კვარტალს შემოწერს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტოსთან შედარებით, ძირითადი შენობის გამომსახველობა შეცვლილია. ორსართულიანი ნაგებობა სიმეტრიული კომპოზიციით ხასიათდება, ცენტრსა და განაპირა მხარეზე შვერილი ფრონტონებით აქცენტირებული.



შენობის, უფრო ზუსტად კი კომპლექსის როლს მიკროკვარტალის განაშენიანებაში, კარგად ადასტურებს 1930-იანი წლების აერო ფოტოც. ფოტოზე ჩანს, რომ საკმაოდ დიდი ზომის მოედანი ოთხივე მხრიდან ნაგებობებით ისაზღვება. მასში ერთადერთი შესასვლელი, ამჟამინდელი თაბუკაშვილის ქუჩის მხარეს დატოვებული მონაკვეთია. ფოტოს რაკურსის, სახურავების მდებარეობისა გამო, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ოთხივე მხარეს გათავსებული ნაგებობები სხვადასხვა სიმაღლის უნდა ყოფილიყო, რომელთა შორისაც აშკარად დომინანტი ცენტრში, ბროსეს ქუჩის მხარეს განთავსებული მოცულობაა.

არსებული მდგომარეობით, ხუთსართულიანი კორპუსი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - თაბუკაშვილის N27-ის ტერიტორიაზე განთავსებული.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - თაბუკაშვილის N27

სააღრიცხვო ბარათი N4919




“ორსართულიანი ნაგებობა აგებულია XIX საუკუნის ბოლოს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია გაულესავი აგური. სწორედ ეს აგური ანიჭებს მთელ შენობას განუმეორებელ მხატვრულ ეფექტს. ნაგებობა სიგრძივ ღერზძეა წაგრძელებეული. მისი ფასადები კლასიციზმის სტილშია გადაწყვეტილი. მოკლებულია ყოველგვარ საფასადე ნაძერწობას. ფასადები შემკულია მხოლოდ აგურში გამოყვანილი დეკორით, რომლითაც გაფორმებულია სართულებს შორის არსებული დეკორატიული ფრიზი და შენობის დამაგვიგვინებელი სამკუთხა ფრონტონები. ასეთი ფრონტონები გვხვდება, როგორც თაბუკაშვილის ქუჩის ფასადზე, ასევე ბროსეს ქუჩის მხრიდანაც.

თაბუკაშვილის ქუჩის ფასადის ცენტრალური შესასვლელი გამოყოფილია რიზალიტით, რომელსაც მეორ სართულზე ამკობს გაგურშივე ამოყვანილი თაღი და სამკუთხა დეკორატიული ფრონტონი. სადარბაზოს კარები შენობაზე შეცვლილია. უნდა აღინიშნოს, რომ შენობაში მეორე სართულზე, წლების წინ ჯერ კიდევ არსებობდა პლაფონზე ფიგურატიული მოხატულობა. შენობის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.”

https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=4919

როგორც აღინიშნა, 2013 წელს სამხედრო ყაზარმების კომპლექსის თაბუკაშვილის ქუჩისკენ მიმართული ორსართულიანი მოცულობების ნაცვლად აშენდა ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი შეულესავი აგურის არქიტექტურული ჩანართებით. მისი მეხუთე ფასადი მოეწყო მანსარდული ფორმით, ხოლო შემდგომ პერიოდში სხვენზე დამატებით გაჩნდა ნახევრად ღია კაფეს მოცულობა.



დასკვნა-რეკომენდაცია

რ. თაბუკაშვილის ქ. N27, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე არსებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ისტორიულ „გარეთუბანში“ 2013 წელს აიგო. ნაგებობა არქიტექტურული ფორმით, საშენი მასალით და საფასადე ელემენტებით კარგად ჩაეწერა ისტორიულ გარემოში, თუმცა მნიშვნელოვნად შეზღუდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - თაბუკაშვილის N27-ის აღქმის არეალი.

ხუთსართულიან შენობაზე კორექტირების პროექტის მიხედვით დაშენდა ნახევრად ღია ტიპის კომერციული ფართი, რომელმაც შენობის სხვენის ერთი ნახევარი დაიკავა.

ამჯერად წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით განზრახულია შენობის სხვენის დარჩენილი ღია ტერიტორიის ათვისება იდენტური ფორმისა და იერსახის ნახევრად ღია ტიპის კაფეს მოცულობით.

შენობის მასშტაბის და მისი სხვენის ნაწილობრივი დაშენების გათვალისწინებით, ვფიქრობ, მეხუთე ფასადის გამთლიანება იდენტური ფორმით შესაძლებელია, ვინაიდან ამგვარი რეკონსტრუქცია არ შეცვლის მიმდებარე ისტორიული განაშენიანების აღქმის შესაძლებლობას. მით უფრო, რომ შენობის ავტორი - არქ. ნ. ჩხაიძე არ არის წინააღმდეგი წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელებისა.

ხელოვნებათმცოდნე

ლალი ანდრონიკაშვილი